„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ცაბაძე

ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * ოქტომბერი. 2017 * (8)35

21 ოქტომბერი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღეა!

ვის ვანდოთ ასპინძის მომავალი?!

სულ მალე გაიმართება ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების არჩევნები. თითქმის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ, ბლოკმა თუ დამოუკიდებელმა კანდიდატმა კარგახანია დაიწყო ამ დღისადმი მზადება და ძალასა და ენერგიას არ იშურებენ, რათა მოიგონ ამომრჩეველთა გულები და ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს წარმმართველ ძალად და ხალხის მსახურებად მოგვევლინონ. ვინ როგორ ფიქრობს, გამარჯვების შემთხვევაში, თავისი მიზნების განხორციელებას, ამასთან დაკავშირებით მერობის ყველა კანდიდატს ერთი და იგივე კითხვით მივმართეთ და მათი პასუხები ხალხის სამსჯავროზე უცვლელად გამოვიტანეთ.

აქვე გთავაზობთ მათ ბიოგრაფიულ მონაცემებსაც.

ტარიელ ლონდარიძე
(ევროპული საქართველო)

დაიბადა 1968 წლის 20 ოქტომბერს დაბა ასპინძაში.

1974-1983 წლებში სწავლობდა ასპინძის საშუალო სკოლაში; 1983-1986 წლებში – ქ.თბილისის სამხედრო სკოლა-ლიცეუმში. 1990 წელს დაამთავრა ქ. დონეცკის საინჟინრო და კავშირგაბმულობის უმაღლესი სამხედრო-პოლიტიკური სასწავლებელი.

1990-1992 წლებში საბჭოთა შეიარაღებული ძალების ასეულის მეთაურის მოადგილეა; 1993-1999 წლებში – 22-ე მექანიზირებული ბრიგადის შტაბის ოპერატიული განყოფილების ოფიცერი, ქვეგანყოფილების უფროსი, სატანკო ბატალიონის მეთაური, მოტომსროლელი ბრიგადის მეთაურის მოადგილე; 1998-2001 წლებში სწავლობს თურქეთის შეიარაღებული ძალების ომის კოლეჯში; 2001-2003 წლებში დაინიშნა მე-11 მექანიზირებული ბრიგადის; 2003-2004 წლებში – თავდაცვის ეროვნული აკადემიის შტაბის უფროსად; 2004-2005 წლებში თავდაცვის ეროვნული აკადემიის პირველი პრორექტორია – სამხედრო სასწავლებლის უფროსი, ხოლო 2005-2006 წლებში – პრორექტორი სამეთაურო-ადმინისტრაციული მუშაობის დარგში; 2006-2008 წლებში დაინიშნა თავდაცვის ეროვნული აკადემიის უფროსად (რექტორად), 2008-2009 წლებში გადაჰყავთ შეიარაღებული ძალების J-1 პ/შ დეპარტამენტის უფროსად, შემდეგ ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის უფროსის პირველ მოადგილედ, თავდაცვის ეროვნული აკადემიის მეთაურის მოადგილედ.

2012 წელს გაიარა დიდი ბრიტანეთის სამხედრო სამეფო აკადემიის სტრატეგიული ლიდერობის კურსი და ინიშნება საქართველოს თავდაცვის მინისტრის მრჩევლად;

2012-2016 წლებში მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრია.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

მალხაზ მოსიძე
(ნაციონალური მოძრაობა)

მალხაზ მოსიძე დაიბადა 1965 წლის 11 მაისს დ.ასპინძაში.

1982 წელს დაამთავრა ასპინძის საშუალო სკოლა, 1984 წელს – ქ. თბილისის მეტრომშენებლობის ტექნიკუმი, 1984-1986 წ.წ. სავალდებულო სამხედრო სამსახურშია.

1992 წელს დაამთავრა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი (ყოფილი ა. პუშკინის სახელობის) რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაციით.

1993-1998 წლებში დაკავებული იყო მცირე ბიზნესით, 1998-1999 წლებში – ს. ხერთვისის არასრული საშუალო სკოლაში რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელია,

2006-2008 წლებში – სოციალური სუფსიდიების სააგენტოს ასპინძის რაიონული განყოფილების მთავარი სპეციალისტია, 2010-2011 წლებში – ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი, ხოლო 2011-2014 წლებში მუშაობს ასპინძის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულად.

2014 წლიდან დღემდე ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატია. არის ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ხოლო 2017 წლიდან მპგ ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ასპინძის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელია.

როსტომ მაგრაქველიძე
(ქართული ოცნება)

როსტომ მაგრაქველიძე დაიბადა 1973 წლის 1 ნოემბერს დაბა ასპინძაში.

1990 წელს წარჩინებით დააამთავრე ასპინძის საშუალო სკოლა, ამავე წელს ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომლის დამთავრებიდან დღემდე მოღვაწეობს ასპინძის რაიონში.

1995-96 წლებში მუშაობდა ასპინძის სამომხმარებლო კოოპერატივში საქონელმცოდნის თანამდებობაზე, 1997 წელს აირჩიეს ამავე სამომხმარებლო კოოპერატივის თავმჯდომარედ, რომელსაც ხელმძღვანელობდი 2006 წლამდე.

2006 წელს აირჩიეს N39 ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამა წლის სექტემბრამდე. მის თავმჯდომარეობის პერიოდში ჩატარებული აქვს 8 სხვადასხვა სახის არჩევნები.

2013 წლიდან არის ცესკო-ს მიერ შერჩეული ტრენერ/ფასილიტატორი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში და ახორციელებს ყოველწლიურ პროექტებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ლევან ცაბაძე
(დამოუკიდებელი კანდიდატი)

კანდიდატმა თავი შეიკავა ბიოგრაფიისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან

კითხვები მერობის კანდიდატებისათვის:

– ასპინძის მუნიციპალიტეტის მერად არჩევის შემთხვევაში, თქვენი მუშაობის მთავარ პრიორიტეტად რა მიგაჩნიათ?
– ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე, მოსახლეობის დასაქმების მიზნით, რის გაკეთებას ფიქრობთ?
– თუ მერად აგირჩიეს, ძველი კადრებით აპირებთ მუშაობის გაგრძელებას თუ ახალი გუნდით მოხვალთ? კადრებით დაკომპლექტებას პარტიული ნიშნით აპირებთ თუ პროფესიულით?
– გაქვთ თუ არა შემუშავებული პროგრამა ინვესტიციების მოზიდვის თაობაზე?
– თუ აგირჩიეს მერად, ფიქრობთ თუ არა, რომ პერიოდულად ჩააბაროთ ანგარიშები ამომრჩეველს თქვენ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ?
– როგორი განცდა გაქვთ კრიტიკულ შენიშვნებზე, ითვალისწინებთ მათ თუ საკუთარ პრინციპებზე დგახართ?
– მცირე ბიზნესის განვითარების მიზნით როგორ წარმოგიდგენიათ სახელმწიფოს მხრიდან მათი დახმარების პერსპექტივა?
– თქვენი აზრით, მუნიციპალიტეტში არის თუ არა ნორმალური გარემო დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისათვის, გაქვთ თუ არა პრეტენზიები ვინმეს მიმართ?
– ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან რას მიმართავდით მუნიციპალიტეტის თითოეულ ამომრჩეველს?
– გაქვთ თუ არა გამარჯვების შანსი და მიახლოებით რამდენი პროცენტით ვარაუდობთ ამომრჩეველთა მხრიდან მხარდაჭერას?

პასუხები კითხვებზე:

ტარიელ ლონდარიძე

– მთავარ პრიორიტეტად მივიჩნევთ, გავხადო მერია მოსახლეობის პრობლემებზე მზრუნველი ორგანო, რომლის უმთავრესი ამოცანა ადამიანის უფლებების, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა იქნება.

– ტურიზმი, მცირე და საშუალო ბიზნესის, სოფლის (ფერმერული) მეურნეობის, ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარების ხელშეწყობით და განხორციელების გზით მოსახლეობის დასაქმება.

– გვაქვს ჩამოყალიბებული ხედვა, როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვის კუთხით: ჩვენ შევთავაზებთ ინვესტო-

დასასრული მე–2 გვ.

პირველი გვერდიდან

რებს აქტიურად ჩაერთონ ტურისტული, სასოფლო-სამეურნეო, ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების (როგორიცაა თერმული წყლების მოპოვება, გადამუშავება, მათი სამედიცინო გამოყენება, არსებული ინფრასტრუქტურის გაფართოების და ახალი ობიექტების შექმნის, სამედიცინო-სამკურნალო ტურიზმის განვითარების მიზნით), სოფლის პროდუქტების მიმღებ გადამამუშავებელი და სხვა ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით.

— არა თუ ვფიქრობთ, ჩვენ მერიის მუშაობას გავხდით ისე გამჭვირვალეს, როგორიც არ ყოფილა არასდროს, ჩვენ რიალობად ვაქცევთ მოქალაქეების ჩართულობას თვითმმართველობის ორგანოების მართვის პროცესში; მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გამჭვირვალობა იქნება გარანტირებული, მისი ხარჯვის პროცესი ღია იქნება თითოეული მოქალაქისთვის, ჩვენ რეალობად ვაქცევთ დემოკრატიული მმართველობის პრინციპებს. მერი და მერია იქნება საზოგადოების, ხალხის მსახური.

— ევროპული საქართველოს მშენებლობის, დემოკრატიული პრინციპების მთავარი ხიბლი ზუსტად კრიტიკული აზრის არსებობაშია, რაც ხელს უწყობს სახელმწიფოს სწორ განვითარებას, საკუთარ პრინციპებზე დგომად კი სწორედ ამ ღირებულობაზე დგომას მივიჩნევ.

— სახელმწიფოს როლი მცირე ბიზნესის განვითარებაში არის მნიშვნელოვანი იმდენად, რამდენადაც ბიზნესის როლი სახელმწიფოს განვითარებაში. ამიტომ, ხელისუფლების ამოცანაც ზუსტად ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა უნდა იყოს, რათა უზრუნველყოს სახელმწიფოს, ქვეყნის სწორი და სტაბილურ განვითარება.

— კარგი იქნებოდა, რომ სრულიად გამორიცხული ყოფილიყო სახელისუფლებო, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, რაც შესაძლებელს გახდიდა, ასპინძის მოსახლეობას გააკეთოს დამოუკიდებელი, თავისუფალი და რეალურად მათთვის სასურველი არჩევანი. რაც შეეხება პრეტენზიას, მივმართავ როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ სახელმწიფო სტრუქტურებს, საოლქო, საუბნო კომისიებს, მისცენ მოქალაქეებს შესაძლებლობა გააკეთონ რეალურად თავისუფალი არჩევანი, მოსახლეობას კი ვუსურვებ შეძლონ დამოუკიდებელი და თავისუფალი არჩევანის გაკეთება, იფიქრონ საკუთარი არჩევანის გაკეთებისას საკუთარი შვილების მომავალზე, სწორედ მომავალზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღებას ვუსურვებ. მთავარია, ამომრჩევალი იყოს გამარჯვებული საკუთარი არჩევანით.

— ვუსურვებდი, მათი არჩევანი იქცეს მათთავე გამარჯვებად, გააკეთონ თავისუფალი, საკუთარ და საკუთარი შვილების მომავალზე ორიენტირებული არჩევანი.

— მთავარია ასპინძელებმა შეძლონ დამოუკიდებელი, თავისუფალი არჩევანის გაკეთება. მე კი მზად ვარ ავიღო პასუხუსმგებლობა მოსახლეობის წინაშე, ვიყო მათი მსახური და არა რომელიმე პიროვნების, ჯგუფის ან პარტიის ვიწრო ინტერესების გამტარებელი.

გამარჯვებას და წარმატებას ვუსურვებ ასპინძის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, უფალი იყოს მათი და სრულიად საქართველოს მფარველი! გვფარავდეს ღმერთი!!!

მალხაზ მოსიძე

— მერად ჩემი არჩევის შემთხვევაში მთავარ პრიორიტეტად მიმაჩნია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე. გზების, ხიდების, საკანალიზაციო სისტემების, სარწყავი და სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფლის მეურნეობის და მცირე ბიზნესი განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა. საზოგადოების ჩართულობა პრიორიტეტული პროექტების განსაზღვრაში. განათლებისა და კულტურის სფეროში სხვადასხვა პროექტების განხორციელება.

— დასაქმების მიზნით საჭიროა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ინვესტიციების მოზიდვა, მცირე ბიზნესის განვითარება, სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია, შეჩერებული პროექტების ხელახლა წამონევა, ტურისტული პოტენციალის გამოყენება, მესაქონლეობის განვითარების ხელშეწყობა.

— მერად არჩევის შემთხვევაში ვაპირებ აქცენტი გავაკეთო მოხელეების პროფესიონალიზმზე და არა პარტიულ ნიშანზე, შესაბამისად, გუნდში მყავს პროფესიონალი კადრები. შესაძლებელია როგორც მათი დასაქმება, ასევე არსებული თანამშრომლების პროფესიული ნიშნით დაკომპლექტება.

— ინვესტიციების მოზიდვის თაობაზე მოგახსენებთ, რომ მაქვს პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას, სოფლის მეურნეობის განვითარებას, სამელიორაციო სისტემების აღდგენას, აშენებას, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

— მერად არჩევის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, საზოგადოებასთან მექნება ძალიან მჭიდრო კონტაქტი, საზოგადოების ჩართულობა მუნიციპალიტეტის მმართველობაში ჩემთვის პრიორიტეტულია. ანგარიშვალდებული ვარ როგორც საკრებულოს, ასევე საზოგადოების წინაშე.

— მაქვს ჩემი პრინციპული შეხედულებები მუნიციპლიტეტის განვითარების სტრატეგიის შესახებ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებ კრიტიკულ შენიშვნებს, საზოგადოებრივ აზრს, ვარ მომხრე პოლემიკის და ჯანსაღი დასკვნების გამოტანის.

— მცირე ბიზნესის განვითარება გადაარჩენს რეგიონებს, აუცილებელია შეღავათიანი მიკროსესხების გაცემა, სესხის მიზნობრიობის გაკონტროლება. რეგიონებისათვის დამახასიათებელი პრიორიტეტული სფეროების განვითარება. სოფლის მეურნეობის პროდუქციის შენახვისა და გასაღების ბაზრის მოწესრიგება.

— დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისათვის ნორმალური გარემო ნამდვილად არ არსებობს, რაც სამწუხაროა. ხშირია სახელმწიფო რესურსების გამოყენება, ამომრჩევლის მოსყიდვა, დაშინება, ზეწოლა.

—ამომრჩეველს მივმართავ, მხარი დაუჭირონ ქვეყნის განვითარებას, უარი უთხრან შეჩერებულ ეკონომიკურ თუ სოციალურ პროექტებს, მხარი დაუჭირონ განახლებულ „ერთიან-ნაციონალურ მოძრაობას“, რომელიც კრიზისიდან გამოიყვანს ქვეყანას და წერტილს დაუსვამს ნეპოტიზმს, უსამართლობას, უმუშევრობას, მომძლავრებულ კრიმინალს, დანამატების და პრემიების ხანას.

— გამარჯვების შანსი ნამდვილად აქვს მერობის ოთხივე კანდიდატს, ამომრჩეველმა უნდა გადადგას გაბედული ნაბიჯი, მხარი დაუჭიროს ღირსეულ კანდიდატს, ქვეყნის განვითარებას და წინსვლას.

როსტომ მაგრაქველიძე

— როდესაც საზოგადოება ნდობას გიცხადებს და თავის ბედს განდობს, ეს იმას ნიშნავს, რომ იმ დღიდან შენი თავი შენ აღარ გეკუთვნის, შენც თითოეული ამომრჩევლის ცხოვრებით უნდა იცხოვრო და ერთნაირად იზრუნო თითოეულ მათგანზე. მუნიციპალიტეტი ამ დროს შენს დიდ ოჯახად იქცევა, კარგზეც და ცუდზეც პასუხიმგებლობა გეკისრება. ამიტომ, მერად ჩემი არჩევის შემთხვევაში, მთელი ჩემი მუშაობა იმ პრობლემებზე იქნება ორიენტირებული, რაც დღემდე აწუხებს მოსახლეობას. ჩვენი ხელშეწყობით შეიქმნება საზოგადოებრივი დარბაზი, რომელთანაც ერთად გამოვძებნით გზებსა და საშუალებებს პრობლემური საკითხების მოგვარებისათვის. ჩვენი მუშაობის პრიორიტეტი, მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, იმ საკითხების გადაწყვეტა იქნება, რასაც ისინი დაგვიკვეთენ, რომ შემდგომში ერთნაირი პასუხისმგებლობა ვიგრძნოთ და არა ისე, როგორც მარტო მე მინდა. ისინიც ხომ ამისთვის გვირჩევენ! ჩვენის მხრივ კი დამატებით გზებსა და საშუალებებს მოვძებნით (ამის სერიოზული პროგრამა შემუშავებული მაქვს), — როგორ მოვიზიდოთ ინვესტიციები, არსებული ჩვენი რესურსები როგორ გამოვიყენოთ, როგორ განვავითაროთ კერძო სექტორი, უკეთესობისაკენ როგორ შევცვალოთ ჩვენი ინფრასტუქტურა, ყველა ის სფერო, სადაც ჩვენი უფლებამოსილება ვრცელდება და ა.შ..

— ასპინძას უდიდესი პოტენციალი გააჩნია ტურიზმის სფეროში. მის ადმინისტრაციულ საზღვრებში მრავლადაა მოქცეული უმნიშვნელოვანესი ისტორიული ძეგლები, — უძველესი ტაძრები, სამონასტრო კომპლექსები, ციხესიმაგრეები, რომელთა მისასვლელი გზების მოწესრიგებით, ინფრასტრუქტურის მოგვარებით, შესაძლებელია ტურიზმის კიდევ უფრო განვითარება, შესაბამისად წინ წამოინევს მცირე ბიზნესი, ერთიორად გაიზრდება საოჯახო სასტუმროები, შესაბამისად — სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, ამაში კი მწარმოებლებს დღენიადაგ ექნებათ ჩვენი მხარდაჭერა. სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და შესაბამის უწყებებთან ერთად შევიმუშავებთ ასპინძაზე მორგებულ პროგრამებს, რითაც მეტად დავაინტერესებთ მცირე ფერმერებს, პროგრამებში მათი მეტი ჩართულობით მაქსიმალურად რომ განვავითაროთ ეს სფერო. ვფიქრობ, არსებული რესურსების გამოყენებისა და მოსახლეობის დასაქმებისათვის დავაინტერესო საქართველოში მცხოვრები ცნობილი ბიზნესმენები თავიანთი კაპიტალი აქ რომ ჩადონ. ამ საქმეში კი პირადულ შესაძლებლობებთან ერთად გამოვიყენებ სახელმწიფო სტრუქტურებსაც. ჩვენი გუნდის მიერ პირველი ნაბიჯები გადადგმულია.

— რაც შეეხება კადრებს, ვფიქრობ — მუნიციპალიტეტში ბევრი ღირსეული და პროფესიონალი მუშაობს, რომლებმაც კარგად იციან თავიანთი საქმე და დაკისრებულ მოვალეობებსაც პირნათლად ასრულებენ. სწორედ ამ კრიტერიუმებით მოხდება მათი დაკომპლექტება. დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

— რა თქმა უნდა, მაქვს. გარდა ამისა, მაღალმთიანი სტატუსის მინიჭებით მუნიციპალიტეტს ინვესტიციების მოზიდვის დიდი პერსპეტივა გააჩნია. ხელისუფლებასთან ერთად, არსებულის გათვალისწინებით, დამატებით შემუშავდება პროგრამა თუ რისი შეთავაზება შეგვეძლება ინვესტორებისათვის. ჩემი მერად არჩევის შემთხვევაში კი ამ პროგრამას წარვუდგენ მოსახლეობას.

— რა თქმა უნდა, შეხვედრები აუცილებელია. მოსახლეობის მხრიდან ყოველი გამოთქმული შენიშვნა, წინადადება და, როდენ მტკივნეულიც არ უნდა იყოს, კრიტიკაც კი, საქმის კეთებას უწყობს ხელს და რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ეს შანსი, მე ვიქნები თუ სხვა? ამიტომ, მინიმუმ, წელიწადში ორჯერ მაინც, ვფიქრობ, ჩავაბარო ანგარიში ამომრჩეველს. მათ უნდა იცოდნენ, თავიანთ მიერ არჩეული მერი ასრულებს თუ არა დანაპირებს. შეხვედრის ეს ფორმაც იმის შანს გვაძლევს, მეტად ყურადღებიანები ვიყოთ თითოეული შენიშვნის მიმართ.

— განმეორება გამომივა, მაგრამ, მიუხედავად იმის, რომ ვარ პრინციპული, გულისყურით ვისმენ ყველანაირ შენიშვნას, ვაანალიზებ და, როგორც უკეთესია, საერთო საქმისთვის, სწორედ იმას ვითვალისწინებ.

— ხელისუფლება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სახელმწიფო პროგრამების — „ანარმოე საქართველოში“ და მიკრო და მცირე მენარმეობის მხარდაჭერის ფარგლებში 2018-2021 წლებში დაახლოებით 3მლნ. ლარამდე თანხის დახარჯვას გეგმავს. ამ პროგრამებით დაახლოებით 300 ახალი თუ უკვე მოქმედი საწარმო და ფერმერი ისარგებლებს, აღნიშნული სახელმწიფო პროგრამების დახმარებით რეგიონში დაახლოებით 400 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება.

— როგორც მთელ ქვეყანაში, ისე, ჩვენთანაც, ყველანაირი პირობაა შექმნილი მშვიდი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისათვის.

— მუნიციპალიტეტის თითოეულ ამომრჩეველს მივმართავ, ჩემი მერად არჩევის შემთხვევაში მხარს დავუჭერ მათი მხრიდან ყველანაირ სასიკეთო წამოწყებას თუ გათვალისწინებული იქნება ქვეყნისა დასაზოგადოების ინტერესები. ამიტომაც მაქვს მათი თანადგომის იმედი. ჩვენ ერთად ახალ სიცოცხლეს შევძენთ ასპინძას. ერთად ავაშენებთ უკეთეს მომავალს.

— იმედი რომ არ მქონდეს ამ ნაბიჯს არ გადავდგამდი. საკუთარი თავის რწმენას მმატებს ძლიერი პოლიტიკური გუნდი, რომლის მთავარი მიზანი ჩვენი ქვეყნის სწრაფი განვითარება, თვითოეული მოქალაქის კეთილდღეობაა. ეს კი დამატებითი გარანტიაა იმისა, დამაჯერებლად დავამარცხო, დემოკრატიული არჩევნების გზით, ჩემი კონკურენტები.

N39-ე ასპინძის საოლქო საარჩევნო ოლქში ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენილები:

N 1 საარჩევნო ოლქი

მერი გიორგაძე — საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა — ევროპული საქართველო“;
კობა ზედგინიძე — „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი — საქართველოს პატრიოტთა ალიანსი;
დავით ფართლაძე — „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“;

N2 საარჩევნო ოლქი

ვიტალი ველიჯანაშვილი — „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო“;
გურამ ივანიძე — „ერთიანი ნაციონალური ორგანიზაცია“;
ზურაბ თევდორაშვილი — საქართველოს პატრიოტთა ალიანსი;
ავთანდილ ივანიძე — „ქართული ოცნება„.

N3 საარჩევნო ოლქი

რამინ ბუცხრიკიძე — საქართველოს პატრიოტთა ალიანსი;
ემინ ბალოიანი — „ქართული ოცნება“;

N4 საარჩევნო ოლქი

ლავრენტი შუშაბერიძე — „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო“;
თამილა ოთანაძე — „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“;
ზვიად ზარიძე — „ქართული ოცნება“;

N5 საარჩევნო ოლქი

თეიმურაზ გოგიშვილი — „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო“;
ნონა ვალიშვილი — საარჩევნო ბლოკი „დიმიტრი ლორთქმიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა-თავისუფალი საქართველო;
გაგა სახელაშვილი — „ქართული ოცნება“;

N6 საარჩევნო ოლქი

დურმიშხან ზაზაძე — ევროპული საქართველო;
ლევან ქამაშიძე — ნაციონალური მოძრაობა;
პავლე ბერიძე — პატრიოტთა ალიანსი;
ბადრი მაღრაძე — ქართული ოცნება;

N7 საარჩევნო ოლქი

ბადრი ლალიაშვილი — პატრიოტთა ალიანსი;
ბესიკ მაგრაქველიძე — ქართული ოცნება;

N8 საარჩევნო ოლქი

ნუგზარ ნარიმანიძე — ევროპული საქართველო;
პაატა ნარიმანიძე — ქართული ოცნება;

N9 საარჩევნო ოლქი

გივი სანდროშვილი — პატრიოტთა ალიანსი;
თამაზ შავაძე — ქართული ოცნება;

N10 საარჩევნო ოლქი

მერაბ დავალაშერიძე — ევროპული საქართველო;
ნუკრი დავლაშერიძე — ნაციონალური მოძრაობა;
ელენე ზედგინიძე — პატრიოტთა ალიანსი;
ზურაბ მელიქიძე — ქართული ოცნება;

N11 საარჩევნო ოლქი

ზურაბ ზედგინიძე — ევროპული საქართველო;
გელა ზედგინიძე — პატრიოტთა ალიანსი;
გიორგი ჯვარიძე — ქართული ოცნება;
ალბერტ ჯვარიძე — საინიციატივო ჯგუფიდან;

N12 საარჩევნო ოლქი

ვასილ ხითარიშვილი — ევროპული საქართველო;
გურამ მურადაშვილი — პატრიოთა ალიანსი;
გოჩა ყრუაშვილი — ქართული ოცნება.

პარტიული (პროპორციული) სიით წარდგენილი კანდიდატები

ქართული ოცნება

1.მამუკა მელიქიძე;
2.ბესიკ ბერიძე;
3.ანა ტივაძე;
4.ნუგზარ ლონდარიძე;
5.სოფიო ბერიძე;
6.კახაბერ ტივაძე;
7.დარეჯან ზღუდაძე;
8.გია ჭელიშვილი;
9.მალხაზ გიორგაძე;
10.რობერტ ნახაპეტიანი;
11.გენადი დიასამიძე;
12.თენგიზ შავაძე;
13.ვლადიმერ ქამაშიძე;
14.ტიტიკო მაღრაძე;
15.მაია ნათენაძე;
16.დავით ფართლაძე;
17.ავთანდილ ივანიძე;
18.ემინ ბალოიანი;
19.ზვიად ზარიძე;
20.გაგა სახელაშვილი;
21.ბადრი მაღრაძე;
22.ბესიკ მაგრაქველიძე;
23.პაატა ნარიმანიძე;
24.თამაზ შავაძე;
25.ზურაბ მელიქიძე;
26.გიორგი ჯვარიძე;
27.გოჩა ყრუაშვილი.

ევროპული საქართველო

1.ტარიელ ლონდარიძე;
2.მერი გიორგაძე;
3.ფრიდონ ლონდარიძე;
4.ზურაბ ზედგინიძე;
5.დურმიშხან ზაზაძე;
6.ვასილ ხითარიშვილი;
7.მერაბ დავლაშერიძე;
8.თეიმურაზ გოგიშვილი;
9.ლელა ყურმაშვილი;
10.ლიზა შემაზაძვილი;
11.ვიტალი ველიჯანაშვილი;
12.ლავრენტი შუშაბერიძე;
13.ავთანდილ ქავთარაძე;
14.იზა ქავთარაძე;
15.მეგი ესტატაშვილი;
16.თეიმურაზ სისაური;
17.მერი ბერიძე;
18.ნუგზარ ნარიმანიძე;
19.ზურაბ ფართლაძე;
20.აზზორ გიორგაძე;
21.ოლეგ ზედგინიძე.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

1.მალხაზ მოსიძე;
2.ბესიკ ბექაური;
3.ვლადიმერ ზაქაიძე;
4.ნიკოლოზ ცისკარაძე;
5.ნუკრი დავლაშერიძე;
6.ლევან ქამაშიძე;
7.გურამ ივანიძე;
8.რუსუდან იაძე;
9.მანანა პაპიძე;
10.მადონა გელაძე;
11.რევაზ სურმანიძე;
12.რეზო კახაძე;
13.ლელა ასპანიძე;
14.ოლეგ ღორჯომელაძე;
15.მალხაზ ბერიძე;
16.ქრისტინე ჩილინგარაშვილი;
17.კახაბერ თაყაძე;
18.ტატიანა მელიქიძე.

მოძრაობა — თავისუფალი საქართველო

1.რამაზ სანდროშვილი;
2.მამუკა დათაშვილი;
3.ალუდა ქავთარაძე;
4.ნონა ვალიშვილი;
5.კობა სანდროშვილი;
6.თამაზ ზედგინიძე;
7.ნათელა კეკიშვილი;
8.მარინა გელაშვილი;
9.გიორგი არაბიძე;
10.დავით სანდროშვილი;
11.აკაკი ქავთარაძე;
12.თამარ სალარიძე;
13.ხვიჩა ქარჩაიძე;
14.ჟორა ქარჩაიძე;
15.გუგული გვარამაძე;

საქართველოს პატრიოტთა ალიანსი

1.კობა ზედგინიძე;
2.გელა ზედგინიძე;
3.რამინ ბუცხრიკიძე
4.ჯაბა ბერიძე;
5.ალექსი აბელიანი;
6.ხათუნა მაღრაძე;
7.ზურაბ თევდორაშვილი;
8.გიორგი ნემსაძე;
9.ნათია მელიქიძე;
10.თამილა ოთანაძე;
11.ირმა ზაზაძე-ზედგინიძე;
12.გალაკტიონ მაღრაძე;
13.გია შაინიძე;
14.ბადრი ლალიაშვილი;
15.გურამ მურადაშვილი;
16.პავლე ბერიძე;
17.გივი სანდროშვილი;
18.მარო კობაიძე;
19.მანანა კედელაშვილი;
20.ელენე ზედგინიძე;
21.ლეილა ხუციშვილი-ზედგინიძე.

საქართველოს ლეიბორისტული პარტია

1.გიორგი ჩიტაური;
2.ალიოშა ჩიტიშვილი;
3.გიორგი ბაშარული;
4.თათია თაზაშვილი;
5.ნიკა გოგიჩოვი;
6.ამალია ჯიბლაძე;
7.თამარ სულაბერიძე;
8.ფატმანი ბროლაშვილი;
9.ნათია გულიაშვილი;
10.ოთარ შანიძე;
11.სოფიო მუტაფიანი;
12.ქრისტინა ევტუშენკო-ჯავახიშვილი;
13.სვეტლანა მუტაფიანი;
14.დარეჯან ნათელაშვილი;
15.დავით სხირტლაძე;
16.გიორგი სამხარაძე;
17.გიორგი თეთრაძე;
18.სონია მეზვრიშვილი.

თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა

1.იმედა აფციაური;
2.ქეთევან სუდაძე;
3.სიმონ ნემსაძე;
4.საველ ბალოიანი;
5.ნოდარ ლომიძე;
6.გელა გოგოლაძე;
7.ლევან ნემსაძე;
8.გიორგი ლურსმანაშვილი;
9.გოჩა თაბაგარი;
10.გიორგი ფცქიალაძე;
11.დავით ნათენაძე;
12.იორდანე ასპანიძე;
13.მალხაზ ზედგინიძე;
14,ნანა ახვლედიანი;
15.ვახტანგ მენთეშაშვილი.

შენიშვნა: პოლიტიკური პარტიები ნაცვლად სრული დასახელებისა ყველაგან აღნიშნულია შემოკლებული ვარიანტით

ხალხის ხმა ასპინძის მომავალი მეჩის საყურადღებოდ!

***

ასპინძაში უკანასკნელი რამდენიმე წელია მართლაც ბევრი რამ გაკეთდა. ადამიანი უმადური უნდა იყოს, რომ ამას ვერ ხედავდეს, თუმცა ასეა, რაც მეტი კეთდება, გასაკეთებელი საქმე კიდევ ბევრი ჩნდება. თუნდაც გზების მოასფალტების კუთხით შევხედოთ. აღებული კურსი ცხადია, არ შენელდება და, ალბათ უახლოეს მომავალში როგორც დაბის ყველა ქუჩა, ასევე სოფლად მისასვლელი ყველა გზაც რეაბილიტირებული იქნება, თუმცა, ჩემი აზრით, კვლავ პრობლემაა ასპინძელებისათვის სასმელი წყალი. კი ბატონო, შედარება არ შეიძლება რაც უწინ იყო, მაგრამ კვლავ უნდა გახდეს მომავალი მერის უპირველესი საზრუნავი დაბის მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფის საკითხი და ასევე სარწყავი სისტემის მოწესრიგებაც. დასამალი არაა, რომ ზოგან დღემდე ისევ გაუქმებულია სარწყავი არხები. ასეა ჩვენს უბანშიც (სანაპიროს ქუჩის მარჯვენა მხარე. რედ.).

მანანა ზედგინიძე,
ბიზნესმენი

***

გულით და სულით მინდა რომ მოსახლეობა დასაქმებული იყოს, განსაკუთრებით ახალგაზრდები. მაშინ ისინი უფრო რაციონალურად გაუფრთხილდებიან დროს და ოჯახური პრობლემების მოგვარებასაც. მეტ დროს დაუთმობენ თავისუფალი დროის რაციონალურად გამოიყენებას, მეორე დღისთვის აღდგენილი ენერგიით რომ მივიდეს სამსახურში. უსაქმურ ახალგაზრდობას ხშირად ვხედავ ქუჩასა და კულტურისა და დასვენების პარკში მოსიარულეს. ახალგაზრდა რომ დასაქმდება, ნაკლები დანაშაულიც მოხდება და, რაც მთავარია, ეკონომიკურად ძლიერი ოჯახები გვეყოლება, რაც ქვეყნის სიძლიერის მაჩვენებელი იქნება. გასაგებია, რომ დასაქმების დიდი პრობლემაა, მაგრამ თვითმმართველმა ორგანომ ამაზე განსაკუთრებით უნდა იზრუნოს, მისი უშუალო ფუნქცია ხომ ხალხზე, საკუთარ ამომრჩეველზე ზრუნვაა. ამის დიდი რეზერვები და შესაძლებლობები აქვს ასპინძას. მთავი მონდომებაა.

არამ ხაჩატურიანი,
ავტომძღოლი

***

ყველანაირი პირობა უნდა შეუქმნას ხალხს ახლადარჩეულმა მერმა. მე, მაგალითად, პენსიონერი ვარ და ჩემი პრობლემა მაწუხებს. დღეს განსაკუთრებით უჭირთ პენსიონერებს. ახალგაზრდას ძალა და ენერგია არ აკლია გამოძებნოს საშუალება – ფიზიკურადაც დაიტვირთოს თავი და დასაქმების საშუალებაც მოიპოვოს, რა თქმა უნდა თუ მონდომება და სურვილი ექნება, მთავრია ხელი გაანძრიოს და შეუძლებელი არაფერია, მთავარია შრომა უყვარდეს, ზარმაცი არ იყოს. პენსიონერებს უფრო უჭირთ, რადგან თავიდან ცხოვრების დაწყება მათთვის შეუძლებელია. პრობლემები აქვთ განსაკუთრებით ავადმყოფობის გამო – მედიკამენტების სიძვირით. ცხადია, მერიას არ შეუძლია ცალკეულ პენსიონერს გამოუყოს დაფინანსება წამლების შესაძენად, იქნებ ბიუჯეტის ზრდის ხარჯზე მოხდეს პენსიებზე დანამატების გაცემა. კარგია, რომ, მაგალითად, „ხერთვისგესიდან“ სოლიდური თანხები შედის ადგილობრივ ბიუჯეტში და სნორედ ეს იძლევა საშუალებას დანამატების გასაცემად.

გუგული გვარამაძე,
პენსიონერი

***

ჩვენთვის, ამ ეტაპზე, მთავარია ახლადარჩეულმა მერმა იზრუნოს სუფთა და ხარისხიანი წყლის პრობლემის მოგვარებისათვის. ეს ყველაზე დიდი პრობლემაა ასპინძელებისათვის. ბევრი რამ გაკეთდა რაიონში და თანდითანობით სხვა დანარჩენი პრობლემური საკითხებიც იმედია, რომ მოგვარდება.

შოთა ხატიძე,
პენსიონერი

***

როგორც ბევრ სხვა ასპინძელს, მეც მიმაჩნია, რომ მთავარი ხარისხიანი წყლის პრობლემის მოგვარებაა. ძალიან კარგია რომ რაიონის სინამდვილეში ძალიან ბევრი გაკეთდა შიდა და სასოფლო გზების მოასფალტება-კეთილმოწყობის საქმეში, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ერთდროულად ყველაფრის გაკეთება ძალზე ძნელია და არც ამის საშუალება გვექნება, მაგრამ მაინც მინდა მივაწვდინო ხმა ასპინძის მომავალ მერს, პრიორიტეტად მიიჩნიოს ისევ დარჩენილი დაუმთავრებელი საგზაო სამუშაოები და პირველსავე წელს მთლიანად დაამთავროს ამ მიმართებით მუშაობა, ბევრი ხომ აღარაა დარჩენილი და მისი გადაწყვეტა სრულიად შესაძლებელია ამ ვადებში, ხოლო დანარჩენი პერიოდი მოახმაროს გზადაგზა ნამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტას, კერძოდ, აუცილებელია როგორც სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე სარემონტო სამუშაოების ჩატარება, ასევე შპს და ინდმენარმეთა საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე კეთილმოწყობითი სამუშაოების ჩატარება, მით უმეტეს ცენტრალურ მაგისტრალზე მაინც, რადგან ძალზე უარყოფით გავლენას ახდენს მათი იერსახე ნებისმიერ ტურისტსა თუ ექსკურსანტზე. აქვე ვსარგებლობ საშუელებით და კარგი იქნება თუ ასპინძის მომავალი მერი თავის გუნდთან ერთად იზრუნებს სამუშაო ადგილების შექმნისათვის. მოსახლეობის დასაქმება მათი უპირველესი საზრუნავი უნდა გახდეს.

ნოდარ ზურაბაშვილი,
პურის მცხობელი

***

საგანგაშოა ახალგაზრდობის მიგრაცია ასპინძიდან. ამ პროცესების შეჩერების მიზნით აუცილებელია ზრუნვა ადგილებზე მეტი სამუშაო ადგილების შექმნისათვის და ახლადარჩეული მერის უპირველესი საზრუნავი ეს უნდა იყოს.

სპორტი... ყველა საჯარო სკოლაში მთლიანად უნდა მოხდეს სპორტის გადახალისება თუ გვინდა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდა. ასეთ პირობებში უნდა ჩატარდეს მეცადინეობები, როგორც თვითონ უწოდებენ – „აერობიკაში“. აუცილებლად უნდა შეიქმნას რაც შეიძლება მეტი სპორტული და განსაკუთრებით ფეხბურთის სექციები, რომლებსაც სათავეში ჩაუდგებიან საქმისმცოდნე, ნიჭიერი და ერუდირებული მწვრთნელები.

თეატრალური ცხოვრება ახლებურად უნდა გარდაიქმნას. ასპინძაში საბედნიეროდ, ბევრია თეატრალური ხელოვნებისადმი მიდრეკილი ახალგაზრდობა და ამ მიმართებით ღირს მეტი ყურადღების გადატანა. კულტურის განვითარება ქვეყნისათვის იმიჯის შექმნაა.

პატივი უნდა მივაგოთ ჩვენგან წასულ ადამიანებს. უპირველესად მიმაჩნია და ვთხოვ ასპინძის მომავალ მერს, არჩევისთანავე იზრუნოს იმაზე, რომ გამოძებნოს შესაბამისი ასიგნებანი და მოაასფალტონ სასაფლაოსაკენ მიმავალი გზა, რამეთუ მისდამი ყურადღების მიქცევა აუცილებელი და საყურადღებოა.

ასპინძა პატარა, მაგრამ დიდი ტურისტული პოტენციალის მქონე რაიონია, ამიტომ კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მის ინფრასტრუქტურის განვითარებას, განსაკუთრებით ცენტრალური მაგისტრალური გზის მიმდებარედ.

ოლღა ლეკიშვილი,
პედაგოგი

***

2007 წლამდე ასპინძის რაიონში მთა იყო თუ ბარი, იქ სადაც ერთი მოსახლე მაინც ცხოვრობდა, გახსნილი იყო კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებები კლუბ-ბიბლიოთეკების სახით. ამ წლიდან მოყოლებული ტენდენცია რატომღაც აღებული იქნა იქითკენ, რომ ეს დაწესებულებები გაეუქმებინათ, რატომ, არ ვიცი, თუ იმხანად რაიონში ფუნქციონირებდა 39 ბიბლიოთეკა, დღევანდელი გადასახედიდან მხოლოდ ოთხ დასახლებულ პუნქტშია ბიბლიოთეკა – ორი ასპინძაში და სამი – სოფლად. ვისურვებდი – განათლების სისტემასთან ერთად პრიორიტეტული ეს მიმართულებაც გახდეს: – საჭიროა კულტურის წინა პლანზე წამონევა. კულტურაზე უნდა იდგეს ქვეყანა და ასე გაგრძელდეს მომავალშიც. ძალზე მიზერულია ამ სისტემაში დასაქმებულთა შრომითი ანაზღაურებაც – როგორც იცით, არ არსებობს საქართველოში საბიუჯეტო სისტემის არცერთი დარგი, სადაც სამას ლარზე ნაკლები ჰქონდეთ ანაზღაურება, ჩვენს სისტემაში რვასაათიანი სამუშაოს შემსრულებელი თანამშრომლის შრომითი ანაზღაურება ზოგან ას ლარსაც ვერ აღემატება. თუ მიექცა ამას ყურადღება, ძალიან მოხარულები ვიქნებით. კულტურის გადარჩენაზე ზრუნვა სახელმწიფო დონეზე უნდა იქნას აყვანილი!

ნუნუ ბუჩუკური,
ბიბლიოთეკარი

P.S. მოსახლეობის მიერ გამოთქმული სურვილები და წინადადებები, ალბათ, საყურადღებო და ანგარიშგასაწევი უნდა გახდეს ასპინძის მომავალი მერისათვის და, ჩვენც, ცხადია, ვუერთდებით მათ სურვილებს, ვიზიარებთ და იმედს გამოვთქვამთ, რომ უეჭველად იქნება გათვალისწინებული ახლადარჩეული მერის მიერ და თითოეული პრობლემის მოსაგვარებლად სათანადო ღონისძიებებსაც გატარებს, რაც წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება იმ სახელმწიფო პოლიტიკისა, რასაც ხელისუფლება ეწევა ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში.

ასევე ვიტოვებთ იმედს, რომ არჩევნების დამთავრებისთანავე ამ საკითხების მოგვარების თაობაზე ახლადარჩეული მერი დაწვრილებით ისაუბრებს მათი გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებზე.

მასალა მოამზადა
ავთანდილ ბერიძემ

სოფელ ძველის ტოპონიმები

(დასასრ. დასაწყ.წინა ნომერში)

მორევა – ეს არის ისეთი ძლიერი ყანა, ქარი რომ ამოვარდებოდა, როგორც მორევი ტრიალებს, ისე ტრიალებდა ყანაც. არის მეორე ვერსიაც თუ ლეგენდა: ურჯოლოებს ვაჟკაცი და ერთი ქალი, ნინო ივანიძე მოუკლავთ, ამ ადგილას კი სისხლის მორევი დამდგარა.

ქალაქის გზიევი –სოფელ ზველის ტერიტორიაზე ქალაქისკენ გამავალი მოკლე გზა იყო, ამ გზით სარგებლობდნენ: ნიალა, ბანი, ქარზამეთი, გავეთი, ყარაბულა, აგარა, ზედა თმოგვი, ერკოტა, ქუნცა, დადეში, აწყვიტა და სხვა მრავალი სოფელი.

მინაურევი – სათესი ყანებია.

ჭანის ყანები – ყანების ქვემოთ მოედინებოდა რუ, სადაც გზადაგზა გუბეები იყო, ამ გუბეში ჩავარდნილა ჭანი (მოზარდი ბუღა) და ამიტომაც დაერქვა ეს სახელი.

მონათლულები – ადგილი, სადაც პავლე მღვდელი ფარულად ნათლავდა ბავშვებს. ხალხი ვითომ იქ სარეცხის დასარეცხად მიდიოდა, სინამდვილეში მოსანათლად მიდიოდნენ.

ჭაობები – მდებარეობს ზველის ტერიტორიაზე სოფელ ჭობარეთის საზღვართან. ეს ადგილი სულ დაჭაობებულა და ამიტომ დაერქვა.

დაფლატუნიევი – სადაც ბუდობს დათვი და ბევრი ნადირი.

ჭიმურიევი – ძველი ყანები, რომლებიც ძალიან ქვიანია.

კოკოლიევი – ეს არის ზველის ტერიტორია,

დასასრული მე–4 გვ.

დავითის ტრაქტორი

წელს ჩვენ ვისვენებდით ბათუმის მახლობლად, საკურორტო ქალაქ ქობულეთში, სადაც შავი ზღვის გასწვრივ, 10 კილომეტრზეა გადაჭიმული სამი პარალელური ქუჩა. გავჩერდით ძველი მეგობრის სახლში, სანაპიროდან 200 მეტრში, აქედან 100 მეტრი წარმოადგენს ბიჭვინთის ფიჭვის რელიქტურ ჭალას. ზღვის სანაპირო ფიტონციდები ბუნების დიდი საჩუქარია. 100 მეტრის სიგანის ველური პლაჟი, – ქვიშნარი ადგილები დასვენების შესანიშნავ პირობას ქმნის.

სხვადასხვა დროს შესაძლებლობა გვქონდა დაგვესვენა ესპანეთში, იტალიაში, საბერძნეთის კუნძულებზე,– კვიპროსისა და კრეტას ჩათვლით, შორეული აღმოსავლეთის ეგზოტიკურ კურორტებზე, მაგრამ ქობულეთის მსგავსი არსად არაფერი გვინახია, არ გვქონია ბუნებასთან სრული შერწყმისა და სულიერი თავისუფლების მსგავსი შეგრძნება. აქ ფასიც მისაღებია.

მაგრამ მე, ამ შესანიშნავ დასვენებაზე კი არა, არამედ ხანმოკლე მოგზაურობის შესახებ მინდა მოგითხროთ, რომელიც შედგა 43 წლის წინ და აწ განმეორდა.

მაშინ, 1974 წელს, მე ჩავედი ჯავახეთში – სამხრეთ საქართველოში - ხელთუქმნელი საოცრების სანახავად და სურათის გადასაღებად – ოთხბორბლიანი ტრაქტორი ერთი მუხლუხოთი, რომელიც განკუთვნილია მთის ფერდობების ტერასირებისთვის და აწყობილია ადგილობრივი გამომგონებლის, დაბა ასპინძის კოლმეურნეობის მთავარი ინჟინრის დავით ვიქტორის ძე ცაგარეიშვილის მიერ.

გამომდინარე აქედან, რამდენიმე თვის შემდეგ, ჟურნალის – „გამომგონებელი და რაციონალიზატორის“ 1975 წ. აპრილის ნომრის ყდა დაამშვენა გრაფიკულმა სურათმა, შიგნით კი განლაგდა ადგილობრივი საკუთარი კორესპონდენტის ალექსანდრა ერმოლაევას ვრცელი სტატია და ჩემი ფოტოსურათები ინჟინრის და მისი ქმნილების შესახებ.

ეს გამოგონება დიდი ხანია მივიწყებას მიეცა, მაგრამ კვალი ისტორიაში დატოვა. ბევრგან, მთის ფერდობზე, ტერასები გაშენებულია დავით ვიქტორის ძის მიერ. ეს არის ხელთუქმნელი ძეგლი იმ ადამიანისა, რომელმაც თვითონ დააპროექტა და სტანდარტული დეტალებისგან და კვანძებისგან დაამზადა აგრეგატი, რომელსაც შესწევს უნარი იმუშაოს 40 გრადუსაიანი კუთხის ფერდობზე. იმ დროს „საქსოფტექნიკამ“ მხარი დაუჭირა გამოგონებას, მაგრამ მისი სერიული გამოშვება არ შედგა, რაც ძალზე საწყენია!

ВР'75/4
ИЗОБРЕТАТЕЛЬ И РАЦИОНАЛИЗАТОР

Журнал публикует творческие решения актуальных задач технического прогресса

АВТОМАТЫ И НАШЕ ПОПРИЩЕ

«НАУЧНОЕ ИССЛЕДОВАНИЕ ПОДОБНО АЗАРТНОЙ ИГРЕ, В КОТОРОЙ ЕДИНСТВЕННО БОЛЕЕ РИСКОВАННЫМ, ЧЕМ ЗАНИМАТЬСЯ ИССЛЕДОВАНИЕМ, ЯВЛЯЕТСЯ НЕ ЗАНИМАТЬСЯ ИМ».

КАТОЛЕТ — ТРАНСПОРТ, ПЕРЕДВИГАЮЩИЙСЯ САМ ПО СЕБЕ

Авторское свидетельство на это изобретение было выдано лишь после того, как вопреки сильнейшим сомнениям экспертизы изобретатели смогли построить и продемонстрировать действующую модель.

Один человек за один год наготовил у себя во дворе одногусеничный трактор

დავით ვიქტორის ძეს დავუმეგობრდი სამუდამოდ, რადგანაც ის იყო ყოველმხრივ განვითარებული ადამიანი, მასთან ყოფნა საინტერესო იყო, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად არ ვხვდებოდით.

ის იყო აგრეთვე მაღალი კვალიფიკაციის მეფუტკრე და ზაფხულში ჰქონდა დიდი საფუტკრე მეურნეობა სოფელ ნიალაში, თურქეთის საზღვრის მახლობლად. როდესაც შემომთავაზობდა თაფლს, თან დაამატებდა: „თაფლი ოსმალურია, მაგრამ გემრიელი“.

ნიალაში მოხვედრა შეიძლებოდა ვარძიის – ძველ დროს, ციცაბო კლდეზე გამოკვეთილი უნიკალური ციხე-ქალაქის, იმხანად რამდენიმე ათასი მაცხოვრებლით, გავლით. მის შესახებ დაწერილია ტომები, გამოცემულია ასობით ბუკლეტი და დღეს ვარძია ტურისტული მექაა.

ჩვენსავით გათვითცნობიერებულ, მეზობლად მცხოვრებ ახალგაზრდა მოსკოველებთან ერთად გადავწყვიტეთ, ვარძიის ჩათვლით, სამხრეთ საქართველოს მონახულება და დასვენება. ადგილობრივ გიდთან, – ჩვენი კომპანიონების ნაცნობთან ერთად, მოვილაპარაკეთ და დასავლეთ საქართველოს დედაქალაქის – ქუთაისის გავლით გავემგზავრეთ. მოვილოცეთ წმიდა ადგილები, ვიყავით ბოტანიკურ ბაღში, დავათვალიერეთ დინოზავრის ნაკვალევი, ულამაზესი გამოქვაბულები, ღამე ბორჯომში გავათიეთ, დილით კი დავათვალიერეთ სამცხე-ჯავახეთის დედაქალაქი ახალციხე – აღდგენილი ციხესიმაგრით და მტკვრის კლდოვანი ველური ხეობის გავლით მივაღწიეთ ვარძიას.

სამწუხაროდ, ასპინძას ჩავუარეთ, მე, უბრალოდ, ვერ ვიცანი ეს ადგილები – მეოთხედი საუკუნის შემდეგ ბევრი რამ შეცვლილი დაგვხვდა.

ნინათ, არა ერთხელ ვყოფილვარ ვარძიაში – მის კეთილმოწყობამდე, დამცავი წინაღობების შექმნამდე და ა.შ. ამიტომ აღარ ავსულვარ ძეგლის დასათვალიერებლად, შესასვლელთან დავჯექი და ვფიქრობდი, – როგორ შეგვევლო, დაბრუნებისას, ასპინძაში. და ჩვენ არა მხოლოდ შევიარეთ, არამედ, პირდაპირ მივადექით ცაგარეიშვილის სახლს – დიდი ხნის მიტოვებულს, მეორე სართულის ფანჯრების ცარიელი ჩარჩოებით. პატრონი გარდაიცვალა ოცი წლის წინ. დარჩა ორი ქალიშვილი – მუსიკის მასწავლებლები, როგორც მათი დედა, ლენინგრადის კონსერვატორიის კურსდამთავრებული...

ვიდექით და ვფიქრობდით: ახსოვს კი დღეს ვინმეს დავით ცაგარეიშვილის ტრაქტორი?

ის კი, წარმოგიდგენიათ? – დგას თავისთვის, მინდორში, მის ეზოში, – თითქოს გუშინ იყო, რომ დახნა ფერდობები: ერთმუხლუხლიანი, ტრანსმისიით, ძრავის ჩონჩხით, მაგრამ ბორბლების გარეშე, ცოცხალივით – 43 წლის შემდეგ.

თვალზე ცრემლი მომადგა. მოვიდნენ მეზობლები და იკითხეს ჩვენი ვინაობა. როდესაც ვუპასუხე, ვინ ვიყავით, ყველას გაუკვირდა. აბორიგენებს შორის აღმოჩნდა უკვე ასაკოვანი ადამიანი – გია მაისურაძე, რომელმაც კარგად გამიხსენა. იგი მაშინ გავიცანი დავითის სახლში, როდესაც მე ვსტუმრობდი. და, შემდეგ ყველაფერი ერთი მეორეს მიჰყვა... ჩონჩხად გადაქცეული ტრაქტორის ფოტოგადაღების შემდეგ ჩვენ, ყველანი, მივვიპატიჟა გიამ სახლში, სადაც შესანიშნავი სუფრა გაეწყოთ ადგილობრივი ღვინით და ეს მოსახსენიებელი ქეიფიც დიდხანს გასტანდა, მაგრამ მასპინძლები გააფრთხილეს, რომ წინ დიდი გზა გვქონდა გასავლელი ხულოს გავლით – ბათუმამდე. გზა შორი და ძალზე ცუდია, ამიტომ ვამჯობინეთ, რომ დღის სინათლეზე გვევლო. ასეც მოხდა.

აქვე მინდა მოვიყვანო ამონარიდი ზემოთ დასახელებული ჟურნალის საკუთრი კორესპონდენტის ალექსანდრა ერმოლოვას სტატიიდან მათთვის, ვინც, შესაძლოა, დღეს დაკავებულია მთის კალთებზე ტერასების მშნებლობით, მინათმოქმედების განვითარების მიზნით: „ცაგარეიშვილის ჰიბრიდი გაბედულად ხმაურობდა 40-გრადუსიანი დახრილობის ციცაბო ფერდობზე. დამუშავების ხარისხი?! ამდაგვარად ჯერ არავის და არასოდეს დაუხვნია ეს მიწები. პირველად მოხერხდა სატაცის სიგანის და ხნულის სიღრმის ურყევად გაჩერება. ციცაბო კალთებზე მუშაობის თვითღირებულება დავიდა 26,43 მანეთამდე. ბუნებრივია, რომ მთიდან ჩამოსვლისას აგრეგატი იმუშავებს დაბლობშიც. აქ მას შეიძლება შევეერთოთ დიდი რაოდენობით სამუშაო ორგანო.“

ოჰ! სად ხართ, ამხანაგებო და ბატონებო? იქნებ დღეს ვინმე გაბედავს ცაგარეიშვილის მეთოდის რეანიმაციას? იგი კი ფუძე უვნებელი დგას სახლის ეზოში – ასპინძაში.

იური ეგოროვი,
ჟურნალების – „იზობრატატელ ი რაციონალიზატორ“ და „ტექნიკა მოლოდიოჟის“ მიმომხილველი

რუსულიდან თარგმნა ნინო კახიძემ

ფარსულის ფურცლები

ასპინძის სკოლის მოსწავლეები. 1963წელი

ზაირა კეღოშვილი

დედ...

ცალად დარჩენილო დედა,
როგორ შეგიმშრალო ცრემლი,
ცად აფრენილ ჩემს ოცნებებს
ნეტა, დამსხვრეოდა ფრთები.

დეე, იცი, მეც მაწუხებს,
ეს ტიალი ჩემი ბედი,
უშენობის სევდა-ვარამს
ვერ დავუშრე მწუხრის ცრემლი.

დეე, სახლ-კარს გაუფრთხილდი,
არ დაჟანგდეს მამის ცელი.
წიგნი წასაკითხი დარჩა, –
არ გააჩნდა ოქრო-ვერცხლი,

მინდა კიდევ ერთხელ ვნახო,
თეთრად შევერცხლილი თმები,
ერდოს თოვლი აარიდე,
არ დასველდეს ოდის ჭერი.

მამა-პაპის საფლავის ქვებს,
ფრთხილად გადაუსვი ხელი,
ცრემლით მორწყე და მონამე,
იას არ ეცვალოს ფერი.

,,სოფლის წყარო", ,,წიპათ წყარო",
დეე...სიზმრად წუხელ ვნახე,
თუნგით მოტანილი წყალი,
ოფლით დანამული სახე.

დეე, სიზმრად ისიც ვნახე,
როგორ მაცილებდი გზაზე,
ცრემლი როგორ აკიაფდა
სევდაჩამდგარ მიმქრალ თვალზე.

აგარიდებ ყველა განცდას,
ჩუმი ოხვრით, ტანჯვით, ლოცვით,
ოღონდ კარგად დამხვდი, დედი,
შემისრულე თხოვნა ერთი.

ტყუილ-მართალს ვურევ თავ-გზას,
დეე, შენი ბევრი მმართებს,
მარტოობის საკანს ვამტვრევ
და ჩიტივით ვკენკავ საკენკს.

„უფსალა-ცირკი“ ასპინძაში

მიმდინარე წლის 20 სექტემბერს ასპინძის მუნიციპლიტეტის კულტურისა და დასვენების პარკის მიმდებარე მინი სტადიონზე საქვეყნოდ ცნობილმა სანკტ-პეტერბურგის ინკლუზიური „უფსალა-ცირკმა" გამართა გასართობი ღონისძიება – „ფიროსმანის შვილები".

მათთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ასევე ასპინძის საჯარო სკოლის მოსწავლეებმაც.

აღნიშნული ღონისძიების დაწყებამდე ასპინძის საინტეგრაციო ცენტრის – ააიპ ასპინძის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრმა და არალის საინტეგრაციო ცენტრმა მოზარდების მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა მოაწყო.

წარმოდგენამ გვიანობამდე გასტანა და დამსწრეთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

საკ. ინფორმაცია

დათიაშვილი მზიური

ჩემო დედულ–მამულეთო

ჩემო დედულ-მამულეთო,
ჩემო გულის ფანცქალო,
მომეგებე სიყვარულით,
სულის თქმა არ მაცალო.

ჩემი ყრმობის დედაენავ,
ჩემი ნიჭის ტაძარო,
ასპინძებად გაჩენილო,
ჩემი გულის ხანძარო.

სტუმარ-მასპინძლის აკვანო,–
სანახავად დამძარო,
ჩემო დედულ-მამულეთო
ძველ-მესხურო ტანძ-ნარო!

ქუჩების მოასფალტება გრძელდება

არც თუ ისე დიდი ხნის წინ მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ხშირად გამოთქვამდა უკმაყოფილობას როგორც სოფლად მისასვლელი გზების, ასევე დაბის ქუჩების ავარიულობის გამო. თითზე ჩამოსათვლელი იყო ის ქუჩებიც, რომლებიც მოასფალტებული ან მცირდით მაინც იყო კეთილმოწყობილი. პერიფერიებზე ლაპარაკი ხომ წარმოუდგენელი იყო. ბოლო რამდენიმე წელია იმდენი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა ამ მიმართებით, რომ ახლა მხოლოდ თითოოროლა ქუჩა თუ ჩიხია დარჩენილი, სადაც, ჯერ-ჯეროობით, ეს სიკეთე არ შეხებია და, ალბათ, მომავალი წლიდან ეს პრობლემაც სრულიად მოიხსნება.

ამჟამად საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურად ხორციელდება ფიროსმანის, არაყიშვილის, ერკოტის უბნის ქუჩებსა და „ერეკლეს ნახიდრიდან“ ვარძიის ქუჩამდე არსებულ მონაკვეთზე.

საკ. ინფორმაცია



ღიმილის კუთხე

რიგიომის მდივანთან

კომუნისტების ზეობის ხანაში, არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობა იყო მოსახლეობის კომუნალური მომსახურების თვალსაზრისით. მდიდარსაც და ღარიბსაც, ჩინიანსაც და უჩინოსაც, რიგ შემთხვევაში, მომსახურება ერთანაირ პირობებში უხდებოდათ. ასე იყო ასპინძაში ერთადერთი ჰიგიენური აბანოთი მომსახურების მხრივაც.

ერთ კვირა დღეს ჰიგიენურ აბანოს ესტუმრა რაიკომის პირველი მდივნის მეუღლე, რომელიც ყველგან სარგებლობდა რა პრივილეგიებით, ურიგოდ მოისურვა აბანოს ნომერში შესვლა, რიგი კი მანამდე დაკავებული ჰქონდა რაიონში ენაკვიმატობით ცნობილ ე.წ. „ზაპოჟნიკის“ მეუღლეს, რომელმაც არასდიდებით არ დაუთმო თავისი რიგი. მდივნის თანამეცხედრე გაცოფებული დაბრუნდა შინ და „ზაპოჟნიკის“ ცოლის „უტაქტო“ საქციელზე ყველაფერი სიტყვასიტყვით ჩაუკაკლა ქმარს. მანაც არ დაახანა, გათენებას არც კი დაელოდა და, კურიერის დახმარებით, სახლში გამოიძახა „ურჩი“ ქალის „ზაპოჟნიკი“ მეუღლე და ერთი ამბავი დაანია...

„ზაპოჟნიკმა“, ვითომც არაფერიო, თავის მართლება არც დაუწყია და დინჯად, ღიმილით დაუბრუნა „ხურდა„: „ბატონო მდივანო, ჩვენ ერთმანეთს დიდი ხანია ვიცნობთ და ამ ქალების (თანაც ერთი გემრიელად შეუკურთხა) გადამკიდე, რატომ უნდა შევძულდეთ ერთმანეთსო და „შერიგების“ ნიშნად ხელი გაუწოდა.

მეჩქარება...

სოფელ იდუმალაში ცხოვრობს ერთი უწყინარი, მშრომელი, დიდი იუმორით დაჯილდოებული პიროვნება თამაზ აბულაძე. გასული საუკუნის 90-იანი წლებია. გაჭირვება ყველას კარზეა, ძალზე ჭირს სატრანსპორტო მომსახურებაც და ვისაც რითი შეუძლია, ისე ეზიდება სარჩო-საბადებელს. ერთ დღესაც, დანჯღრეულ ურიკაზე ერთი ტომარა შავი ფქვილი შემოდო თამაზმა და იდუმალისაკენ აიღო გეზი. გზად მიმავალს სატვირთო ავტომანქანით მეზობელი წამოეწია და ფქვილის წაღებაზე დახმარება შესთავაზა.

თამაზი არც კი დაფიქრებულა, ცივი უარი განუცხადა მეზობელს... – ვერ გამოგყვები, მადლობელი ვარ, დახმარებისათვის, ძალიან მეჩქარებაო და გზა განაგრძო.

ძია სპირიდონის ძროხა

გასული საუკუნის 80-იან წლებში ასპინძის „გაზკანტორაში“ მუშაობდა ერთი მშრომელი კაცი – სპირიდონ ბერიძე, რომელიც ქათამბატთან ერთად, ოჯახის საჭიროებისათვის, ერთ სულ მეწველ ძროხასაც ინახავდა და წვრიშვილს რძესა და რძის პროდუქტებს არ აკლებდა.

გავიდა დრო. მისმა აწ განსვენებულმა ვაჟიშვილმა შალვამ, ცოლად ქალაქელი ქალი მოიყვანა, რომელსაც არ სიამოვნებდა ოჯახში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ყოლა და, ერთ დღესაც, როდესაც დაიგულა, რომ ძია სპირიდონი, დიდი ხნით, ოჯახიდან გასული იყო, პატარძალმა ძროხა გაყიდა და მის ნაცვლად მაცივარი იყიდა.

შინ დაბრუნებულ ძია სპირიდონს სახლში ძროხის ნაცვლად ცარიელი მაცივარი რომ დახვდა, დაიბარა რძალი და მეზობლების თანდასწრებით დაუთათხანა – ახლა რაღა ჩემი ფეხები უნდა შეალაგო ამ მაცივარშიო!

დიმიტრი მაღრაძე

სოფელ ძველის ტოპონიმები

მე-3 გვერდიდან

სადაც ვულკანური წარმოშობის ბორცვებია.

ჩრდილის ტყე – აღნიშნული ტყე მდებარეობს სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, სულ ჩრდილია და ამიტომ დაერქვა ეს სახელი.

ვაკიევი (ყანები) – ეს ყანა 6-7 ჰექტარია, რომელიც გავაკებულია.

გუბიები – მარილიანი ორი პატარა ტბაა, მდებარეობს სოფლიდან ჩრდილო დასავლეთით.

ჯირითმეიდანი – (მოედანი), სადაც ცხენების ჯირითობა (დოღი) იმართებოდა.

სილიანები – მტკვრის პირას ყანებია, რომელსაც სილიანები ეწოდება.

ჩაგდელა (ყანები) – ეს ყანები ჩაგრძელებულია ღობიეთიდან მტკვრის პირამდის სიგანით 100 მ. სიგრძით-300-400 მ.

მერიევი – დაცემული ნაყოფიერი ყანებია, დაახლ. 7 ჰექტარი.

სოფ. ღობიეთი – სოფლის გარშემო ყოფილა დიდი ნაკვეთებით, სადაც ამჟამად კლდისძირში ძველი ქრისტიანული ტაძარია.

სატივე – მტკვარზე იყო გასასვლელი ადგილი, სადაც მოსახლეობა ტივით სარგებლობდა და ამიტომ დაერქვა ეს სახელი.

ყიშლა – ზამთრის საძოვარი ადგილი პირუტყვისათვის, ფართობით 250-300 ჰექტარი.

ჯანჯღები – ტყე, რომელიც მდებარეობს ჩ/აღმ მხარეს, დაახლოებით 100 ჰექტარია.

კოშკები – მდებარეობს ჩრდ/აღმოსავლეთ ნაწილში, რომლის დანიშნულება იყო, მტრის შემოსევის დროს, ცეცხლი უნდა დაენთოთ მასზე.

ანაქალოს ავაზნები – მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთ მხარეს, საიდანაც მოსახლეობა წყალს ეზიდებოდა და პირუტყვს ასმევდნენ ავაზნებში. ერთი ქალი ყოფილა, ანა ზედგინიძე, რომელსაც გაუკეთებინებია 6 ავაზა და ამიტომ დაარქვეს „ანაქალოს ავაზნები“.

ქალის სახტომელა – სოფელს მტერი რომ შემოესია, ერთი ქალი, რომელსაც პატარა ბავშვი ყავდა, გაქცეულა და მტერს რომ არ დაეჭირათ, ბავშვიანად ხევში გადამხტარა. იმ ხევში დიდხანს შემორჩა ქვა, რომელზეც აკვანი ყოფილა დახატული.

ბრმა ხევი – სოფ. ზველიდან ჩრ/აღმ. ჯანჯღების ტყეში არის ხევი, რომელიც უხილავია.

მელიის სოროები – ყანები, სადაც მელიები ბუდობენ.

ჩაურმა – სოფ ჩრდ. მხარეზე, დაწეული ადგილია, ახლა ბაღებია გაშენებული.

განგიზა – სოფ. ღობიეთიდან ზველამდე საცალფეხო გზაა.

საჯვარიები – ღობიეთიდან ამოდის გზა სოფელში.

მაღაროები – სოფლის ჩრდილოეთითაა მაღაროები, სადაც მტრის შემოსევების დროს იმალებოდნენ.

მღვდლის ბაღი – მღვდელს ქართლში მოუკლია ვიღაც კაცი, რომელსაც ქვრივი რძალი ჰყოლია. წამოუყვანია რძალი და გამოქცეულა ღობიეთში. იმ ადგილას ბორანი ყოფილა, სადაც ისინი შევიდნენ, ამ ბორანს ყარაულობდნენ ვეფხვები. ვეფხვები რომ დაიყმუვლებდნენ, ამით იგებდნენ, რომ ბორანზე ვიღაც მოვიდა. თათრები ჩავიდნენ და გამოიყვანეს ესენი. ეს მღვდელი წამოსულა სანადიროდ და დაფარულ ტყეში შეხვედრია ეკლესია. იქ რომ ჩასულა, უთქვამს: – მე ზედა ველში ეკლესია ვნახეო და იქ უნდა ვიცხოვრორო, შემდეგ აუშენებია სახლი, გაუჩეხია ტყე და დაუწყია ცხოვრება. ღობიეთში მცხოვრებ თათრებს უთქვამთ: შენ ქართველი ხარ, თევზი გეყვარებაო. აქ ღობიეთში მოგცემთ ადგილს, როცა ჩამოხვალ ითევზაავებო. ახლაც ამ ადგილს მღვდლის ბაღი ჰქვია.

მთქმელი ალიოშა ზედგინიძე, 75 წლის, სოფელი ძველი. ჩაიწერა მარიკა გვარამაძემ 2017 წელს

რედკოლეგია